



ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მორიგი სხდომის

ო ქ მ ო №3

ქალაქი ბათუმი

2021 წლის 30 მარტი
11⁰⁰ საათი

სხდომას თავმჯდომარეობდა ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე - სულიკო თებიძე

მ ს შ რ ე ბ ო ღ ნ ე ნ :

- | | |
|----------------------|--|
| თამაზ სალუქვაძე | - საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე; |
| ნატალია ზოიძე | - საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე; |
| გოჩა მგელაძე | - საკრებულოს ინფრასტრუქტურის განვითარების კომისიის თავმჯდომარე; |
| დავით მახარაძე | - საკრებულოს იურიდიულ და საპროცედურო საკითხთა კომისიის თავმჯდომარე; |
| ირაკლი პატარიძე | - საკრებულოს განათლების, კულტურის, ტურიზმისა და სპორტის საკითხთა კომისიის თავმჯდომარე; |
| ზურაბ ნაკაიძე | - საკრებულოს საფინანსო და ეკონომიკური განვითარების კომისიის თავმჯდომარე; |
| ბესარიონ გოგოტიშვილი | - საკრებულოს ფრაქციის „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო“ თავმჯდომარე; |
| ნატალია ძიძიგური | - საკრებულოს ფრაქციის „ქართული ოცნება - კონსერვატორები“ თავმჯდომარე; |

ნერიმან ცინცაძე	- საკრებულოს ფრაქციის „ქართული ოცნება - კონსერვატორები“ თავმჯდომარის მოადგილე;
ანზორ დევაძე	- საკრებულოს ფრაქციის „ქართული ოცნება - მრეწველები“ თავმჯდომარე;
რაულ თავართქილაძე	- საკრებულოს ფრაქციის „ბათუმი“ თავმჯდომარე;
არჩილ მამულაძე	- საკრებულოს ფრაქციის „ბათუმი“ თავმჯდომარის მოადგილე;
მირდატ ქამადაძე	- საკრებულოს ფრაქციის „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ თავმჯდომარე;
ნოდარ დუმბაძე	- საკრებულოს ფრაქციის „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ თავმჯდომარის მოადგილე;
თემურ კახიძე	- საკრებულოს წევრი;
ლევან ანთაძე	- საკრებულოს წევრი;
ელგუჯა ანდრიაძე	- საკრებულოს წევრი;
თამაზ დევაძე	- საკრებულოს წევრი.
ვაჟა რამიშვილი	-საკრებულოს წევრი

არ ესწრებოდნენ:

დიმიტრი ჭეიშვილი	- საკრებულოს ჯანმრთელობისა და სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე;
ომარ მახარაძე	- საკრებულოს წევრი;
მუხამედ ართმელაძე	- საკრებულოს წევრი;
ირაკლი თოფურიძე	- საკრებულოს წევრი;
გელა დეკანაძე	- საკრებულოს წევრი;

სხდომას ესწრებოდნენ:

- ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის ვიცე-მერი, მერის მოვალეობის შემსრულებელი - არჩილ ჩიქოვანი;
- ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციის უფროსი - ნუკრი დეკანაძე;
- ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამსახურის უფროსი - მერაბ ქიძინიძე;
- ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური ქონების და სერვისების მართვის სამსახურის უფროსის მოვალეობის შემსრულებელი - დავით კოპინაძე;
- ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური პოლიტიკის სამსახურის საქალაქო ტრანსპორტის და სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის პოლიტიკის განყოფილების უფროსი - ემზარ ქავჭარაძე.

შპს „ბათუმის ავტოტრანსპორტის“ დირექტორი ლევან ლაზარიაშვილი;

შპს „ბათუმის ავტოტრანსპორტის“ იურიდიული განყოფილების უფროსი - ეთერი შუბლაძე;

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მოქმედი რეგლამენტით გათვალისწინებული საკრებულოს აპარატის პროფესიული საჯარო მოხელეები:

- საკრებულოს აპარატის უფროსი - რაულ ბოლქვაძე;
- საკრებულოს აპარატის იურიდიული განყოფილების უფროსი - ირაკლი თავართქილაძე;
- საკრებულოს აპარატის საქმისწარმოებისა და ადამიანური რესურსების მართვის განყოფილების უფროსი - მადონა თურმანიძე;
- საკრებულოს აპარატის საქმისწარმოებისა და ადამიანური რესურსების მართვის განყოფილების უფროსი სპეციალისტი - მზევინარ წულუკიძე;
- საკრებულოს აპარატის მასმედიასთან და საზოგადოებასთან ურთიერთობის განყოფილების უფროსი - ლელა ნემსაძე;
- საკრებულოს აპარატის მასმედიასთან და საზოგადოებასთან ურთიერთობის განყოფილების უფროსი სპეციალისტი - ბადრი წულუკიძე.

პრესისა და მასმედიის წარმომადგენლები.

სხდომის თავმჯდომარე - სულიკო თებიძე მიესალმა დამსწრე-საზოგადოებას და წარმატებული დღე უსურვა, ასევე მან აღნიშნა, რომ საკრებულოს მორიგ სხდომაზე განსახილველად წარმოდგენილია 21 სამართლებრივი აქტის პროექტის განხილვა. მიმართა კოლეგებს დღის წესრიგის გარშემო, პროცედურულ საკითხთან დაკავშირებით წინადადებების არსებობის თაობაზე, რასთან დაკავშირებით საკრებულოს წევრმა ლევან ანთაძემ განაცხადა, რომ თუ რატომ ზღუდავს ხალხზე კანონით მინიჭებულ უფლებას, როდესაც საკრებულოს სხდომა ღია, რაზედაც სხდომის თავმჯდომარემ უპასუხა, რომ პროცედურულ საკითხებთან დაკავშირებით უნდა გამოთქვათ მოსაზრება, რაც შეეხება დასმულ კითხვას განცხადებების ბლოკში გასცემს პასუხს.

სხდომის თავმჯდომარემ - სულიკო თებიძემ სხდომის მონაწილეებს, საკრებულოს წევრებს გააცნო საკრებულოს მორიგი სხდომის დღის წესრიგი:

დ დ ი ს წ ე ს რ ი გ ი :

საკითხი 1. „ადგილობრივი საქალაქო რეგულარული სამგზავრო გადაყვანის M2 და M3 კატეგორიის ავტობუსებისათვის ნებართვის გაცემის ფასის განსაზღვრის შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 28 ივნისის №51 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.

(მომხს: ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური პოლიტიკის სამსახურის საქალაქო ტრანსპორტის და სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის პოლიტიკის განყოფილების უფროსი ემზარ ქავჭარაძე)

საკითხი 2. „ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტით დამტკიცებული ქვეპროგრამების „საერთაშორისო ფესტივალების მხარდაჭერა“ ფარგლებში კონკურსის ჩატარების პირობების შესახებ დებულების დამტკიცების თაობაზე“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

(მომხს: ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამსახურის უფროსი მერაბ ქიძინიძე)

საკითხი 3. „ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, სარგებლობის უფლებით, აუქციონის წესით განსაკარგი ქონების საწყისი წლიური სარგებლობის საფასურის განსაზღვრის შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

(მომხს: ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური ქონების და სერვისების მართვის სამსახურის უფროსის მ/შ დავით კოპინაძე)

საკითხი 4. „ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული საპრივატიზებო ობიექტების ნუსხის და პრივატიზაციის გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 30 მარტის N34 განკარგულებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

(მომხს: ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური ქონების და სერვისების მართვის სამსახურის უფროსის მ/შ დავით კოპინაძე)

საკითხი 5. „ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში რეგისტრირებული, ქ.ბათუმში, ფიროსმანის ქ. N25-ში მდებარე უძრავი ქონების სახელმწიფოსათვის უსასყიდლოდ საკუთრებაში გადაცემის შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

(მომხს: ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური ქონების და სერვისების მართვის სამსახურის უფროსის მ/შ დავით კოპინაძე)

საკითხი 6. „ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში რეგისტრირებული, ქ.ბათუმში, ნ.შაშიკაშვილის N74-ში მდებარე უძრავი ქონების აჭარის ავტონომიური რესპუბლიკისათვის უსასყიდლოდ, საკუთრებაში გადაცემის შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

(მომხს: ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური ქონების და სერვისების მართვის სამსახურის უფროსის მ/შ დავით კოპინაძე)

საკითხი 7. „ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში რეგისტრირებული, გოგებაშვილის ქუჩის მიმდებარედ არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთების სარგებლობაში განკარგვასთან დაკავშირებით ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

(მომხს: ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური ქონების და სერვისების მართვის სამსახურის უფროსის მ/შ დავით კოპინაძე)

საკითხი 8. „ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის პოლიტიკური თანამდებობის პირების და პროფესიული საჯარო მოხელეების თანამდებობრივი სარგოების და საშტატო ნუსხის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 16 მარტის №28 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.

(მომხს: ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური ქონების და სერვისების მართვის სამსახურის უფროსის მ/შ დავით კოპინაძე)

საკითხი 9. „ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში რეგისტრირებული, ქ.ბათუმში, გალაქტიონ ტაბიძის ქ. №13ა-ს მიმდებარედ არსებული 42.00 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის პირდაპირი განკარგვის წესით იჯარით სარგებლობაში გადაცემასთან დაკავშირებით ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

(მომხს: ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური ქონების და სერვისების მართვის სამსახურის უფროსის მ/შ დავით კოპინაძე)

საკითხი 10. „ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში რეგისტრირებული, ზღვისპირა პლაჟის მონაკვეთების პირდაპირი განკარგვის წესით იჯარით სარგებლობაში გადაცემასთან დაკავშირებით ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

(მომხს: ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური ქონების და სერვისების მართვის სამსახურის უფროსის მ/შ დავით კოპინაძე)

საკითხი 11. „მუნიციპალური პროგრამის „ხელმისაწვდომი საცხოვრისი“ განხორციელების მიზნით გასატარებელი ღონისძიებების შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 19 სექტემბრის N73 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

(მომხს: ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური ქონების და სერვისების მართვის სამსახურის უფროსის მ/შ დავით კოპინაძე)

საკითხი 12. „ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე გარე ვაჭრობის, ბაზრებისა და ბაზრობების რეგულირების წესის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.

(მომხს: ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური ქონების და სერვისების მართვის სამსახურის უფროსის მ/შ დავით კოპინაძე)

საკითხი 13. „ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების და სარგებლობის უფლებით გადაცემის დამატებითი წესების და აუქციონში გამარჯვების დამადასტურებელი ოქმის, ნასყიდობის ხელშეკრულებისა და საკუთრების დამადასტურებელი მოწმობის ფორმების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 11 აპრილის №37 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.

(მომხს: ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური ქონების და სერვისების მართვის სამსახურის უფროსის მ/შ დავით კოპინაძე)

საკითხი 14. „შპს „ბათუმის ავტოტრანსპორტი“-ს ბალანსზე რიცხულ ავტობუსებზე/ ავტობუსებში რეკლამის განთავსების უფლების ვადიან სასყიდლიან სარგებლობაში სააუქციონო პირობებით გადაცემის შესახებ წინადადების მოწონების შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 28 ნოემბრის N87 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

(მომხს: შპს „ბათუმის ავტოტრანსპორტის“ იურიდიული განყოფილების უფროსი - ეთერი შუბლაძე)

საკითხი 15. „ქალაქ ბათუმში (თამარის დასახლება) ი.გრიშაშვილის ქუჩიდან ც.დადიანის ქუჩამდე არსებული გზის მონაკვეთის ქუჩად ჩამოყალიბებისა და მასზედ კონსტიტუციის სახელის მინიჭების შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

(მომხს: ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განათლების, კულტურის, ტურიზმისა და სპორტის საკითხთა კომისიის თავმჯდომარე ირაკლი პატარიძე)

საკითხი 16. „ქალაქ ბათუმში ზურაბ გორგილაძის ქ. N12-ში არსებულ საცხოვრებელ სახლზე აკაკი შონიას მემორიალური დაფის განთავსების შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

(მომხს: ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განათლების, კულტურის, ტურიზმისა და სპორტის საკითხთა კომისიის თავმჯდომარე ირაკლი პატარიძე)

საკითხი 17. „ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს პოლიტიკური თანამდებობის პირების და საკრებულოს აპარატის პროფესიული საჯარო მოხელეების თანამდებობრივი სარგოების და საშტატო ნუსხის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 18 იანვრის №7 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.

(მომხს: ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის იურიდიული განყოფილების უფროსი ირაკლი თავართქილაძე)

საკითხი 18. „ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოში შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა რაოდენობის შეზღუდვიდან გამონაკლისის დაშვების შეთანხმებისა და შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა რაოდენობის განსაზღვრის შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

(მომხს: ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის იურიდიული განყოფილების უფროსი ირაკლი თავართქილაძე)

საკითხი 19. „ქალაქ ბათუმის მუნიციპალური გენდერული თანასწორობის საბჭოს შექმნისა და დებულების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 27 დეკემბრის №77 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.

(მომხს: ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე, მუნიციპალური გენდერული თანასწორობის საბჭოს თავმჯდომარე - ნატალია ზოიძე)

საკითხი 20. „ქალაქ ბათუმის მუნიციპალური გენდერული თანასწორობის საბჭოს შემადგენლობის განსაზღვრის შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 5 მარტის N20 განკარგულებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

(მომხს: ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე, მუნიციპალური გენდერული თანასწორობის საბჭოს თავმჯდომარე - ნატალია ზოიძე)

საკითხი 21. „ქალაქ ბათუმის მუნიციპალური გენდერული თანასწორობის საბჭოს 2021-2022 წლების სამოქმედო გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

(მომხს: ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე, მუნიციპალური გენდერული თანასწორობის საბჭოს თავმჯდომარე - ნატალია ზოიძე)

სხდომის თავმჯდომარემ - სულიკო თებიძემ წარმოდგენილი დღის წესრიგი, დააყენა კენჭისყრაზე:

კენჭისყრისას სხდომას ესწრებოდა: 19
არ ესწრებოდა: 1(დ. მახარაძე)

კენჭისყრის შედეგები: მომხრე - 16
წინააღმდეგი - 3 (მ. ქამადაძე, ლ. ანთაძე,
ნ. დუმბაძე)

სხდომის თავმჯდომარემ - სულიკო თებიძემ საკრებულოს წევრებს მიმართა საკრებულოს რეგლამენტით დადგენილი წესით მოკლე განცხადებების გაკეთების შესაძლებლობის თაობაზე და საკრებულოს აპარატს დაავალა ყველა განცხადების ოქმის სახით გადაგზავნა ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიაში.

საკრებულოს წევრი - არჩილ მამულაძე - მიესალმა კოლეგებს და დამსწრე-საზოგადოებას და აღნიშნა ქვეყანაში მიმდინარე პოლიტიკურ ვითარებასთან დაკავშირებით, იმედი აქვს მხარეები შეთანხმდებიან ბოლო რაუნდში საქართველოსა და ქვეყნის სასარგებლოდ. ასევე პირველ რიგში თანაგრძნობა გამოუცხადა ოჯახს ახალგაზრდა მედიკოსის გარდაცვალებასთან დაკავშირებით და იმედი გამოთქვა, რომ ჩატარდება მყისიერი გამოძიება თუ რა მოხდა აცრის შემდეგ. ასევე განმეორებით უწევს განცხადების გაკეთება, რომ საქართველოში სრული მასშტაბით ამოქმედდა თეატრალური და საკონცერტო ცხოვრება, რისთვისაც არაფრით არ შეიძლება 21 საათიდან შეზღუდვა. აქედან გამომდინარე ან უნდა მოიხსნას ან 23 საათამდე გადატანილი იქნას კომენდანტის საათი. სასურველია მოიხსნას, რადგან ხელი შეეწყოს კოლექტივების ამოქმედებას. რაც შეეხება თამარის დასახლებაში რკინიგზის გადასასვლელის მარჯვენა მხარეს პოლიკლინიკის მიმდებარედ წვიმიან დღეებში დგება გუბე და მანქანები იმტვრევა. გზა ერთი წელია გაკეთებულია, თუმცა ორმოები ამოსავსებია. ასევე პარკის ტერიტორიაზე სამარცხვინო მდგომარეობაა, ხარის მონუმენტთან გუბე დგას. პანდემიასთან დაკავშირებით როდესაც შეზღუდვებს ვაკეთებთ და მიზეზები სახელდება, თუმცა ერთადერთი მიზეზია სამარშრუტო ტაქსები, ტრანსპორტში უწესრიგობა. სალამოს საათებში მიკროავტობუსები გადაჭედულია, პირბადეები არ უკეთიათ და მძღოლები არ აქცევენ ყურადღებას. მადლობა გადაუხადა ქვაფენილების მოწესრიგებასთან დაკავშირებით, რაზედაც შეიქმნა კომისია და თვითონაც მიიღებს მონაწილეობას.

საკრებულოს წევრი - რაულ თავართქილაძე მიესალმა და პანდემიით გამოწვეულ პრობლემებთან დაკავშირებით ისაუბრა. კარგია ვაქცინის შემოსვლა, თუმცა ტრაგიკული ამბის შემდეგ შეფერხდა პროცესი. პირველ რიგში ამ შემთხვევაში ფლაგმანები უნდა იყვნენ მედიკოსები. მიმართა ბათუმის მერის მოვალეობის შემსრულებელს, რომ დედაქალაქის მერიამ ავტოტრანსპორტი შეცვალა და შემოდგომაზე ამ პროცესს მთლიანად ამთავრებს. ბათუმამც კარგი ნაბიჯი გადადგა ელექტროავტობუსების შემოყვანით, მაგრამ უნდა გამოიყოს თანხა მთლიანად ავტოტრანსპორტის გამოსაცვლელად. ასევე ბულვარში ქვაფენილები ცუდ მდგომარეობაშია, ნაწილი მოსაგვარებელია. ქობულეთი-ბათუმის ავტომაგისტრალზე მუდმივად ავარიის შედეგად იღუპება ადა-მიანები, შემოვლითი მონაკვეთი ორმხრივადაა გასაკეთებელი.

საკრებულოს წევრი - მირდატ ქამადაძე მიესალმა და აღნიშნა, რომ დღეს ისტორიული დღეა ჩვენი ქვეყნის უახლეს ისტორიაში, დღევანდელი დღე განსაზღვრავს ქვეყნის საგარეო ვექტორს. ვრჩებით დასავლეთ მიმართულების კურსით თუ სამწუხაროდ ისტორიის განმეორება უწყევთ და დგებიან რუსულ ორბიტაზე და ამიტომ ამისთვის მნიშვნელოვანია დღევანდელი შეთანხმება, რომლის შედეგადაც გამარჯვებული იქნება არა რომელიმე პოლიტიკური პარტია, არამედ ჩვენი ქვეყანა. წინააღმდეგ შემთხვევაში დამარცხებული იქნება საქართველო და დამარცხებულ სახელმწიფოში გამარჯვებული პოლიტიკური პარტიები არ არსებობენ. ამიტომ ის იმედს იტოვებს, რომ ის პასუხისმგებლობა ამ მიმართულებაში და გადაწყვეტ ვითარებაში, რაც ზოგადად ხელისუფლებებს ეკისრებათ კრიზისის პერიოდში ამ პასუხისმგებლობას გაითავისებს პარტია „ქართული ოცნების“ ხელისუფლება და დღევანდელი შეთანხმება შედგება. გამოსავალი კრიზისიდან, რომ კრიზისი არსებობს ქვეყანაში ამაში თანხმდებიან, არის ერთადერთი, გადატვირთვა მდგომარეობის, დემოკრატიულ საზოგადოებებში, თუ როგორ ხდება გადატვირთვა კარგად იცის ყველამ. მთავარი საკითხია კრიზისის განმუხტვა, რომლის ერთადერთი გამოსავალი არის შეთანხმება და შერიგება. ხელისუფლებას და ამ შემთხვევაში თვითმმართველობას ეტყვის, რომ ამ მიმართულებებით მოლაპარაკებებზე საუბრობს და მეორე მხრივ, ბათუმის თვითმმართველობის ა(ა)იპ-ებიდან და შპს-ებიდან განსხვავებული პოლიტიკური შეხედულებების გამო თავისუფლდება თანამშრომლები სამსახურე-ბიდან. ეს არც პოლიტიკური კლასის მაჩვენებელია, არც დემოკრატიული ხარისხის მაჩვენებელი და ისე მორალურადაც მისი აზრით გამართლებული არ არის, იმიტომ რომ ხელისუფლებას, ვისაც პასუხისმგებლობა აქვს აღებული ქვეყანაზე და მართლა აქვს პრეტენზია განვითარებისკენ და წინსვლისკენ, ის პირიქით განსხვავებულ აზრს უნდა ემუხტოს. მოუწოდებს ყველას, რომ პოლიტიკური განსხვავებული შეხედულებების გამო ადამიანების სამსაურიდან განთავისუფლება აღარ გაგრძელდეს და ის მიღებული გადაწყვეტილებები გადაიხედოს, რადგან თანამდებობები დროებითია და ეს ქალაქი მარადიულია.

საკრებულოს წევრი - ლევან ანთაძე მიესალმა და აღნიშნა, რომ ბათუმის მერიაში პოლიტიკური დევნა რომელიც დაწყებულია აჭარის მთავრობის თავმჯდომარის თორნიკე რიჟვაძის მიერ, გრძელდება, მან დაასახელა განთავისუფლებული პირების სახელი გვარები: ლელა ჩხეიძე-ადმინისტრაციული ინსპექციიდან, რომელსაც შეტყობინება 20 დღის მერე მისცეს, რადგან ინტერვიუში ამ ხელისუფლებას კარგად არ ახასიათებდა. საკრებულოს წევრის ნოდარ დუმბაძის მამა და თამარის დასახლების შტაბის უფროსის შვილი. მან მიმართა მერს, რომ ეს არ არის მისი სახლი და ამაზე ნამდვილად მოეთხოვებათ პასუხი, რადგან ეს არის სისხლის სამართლის დევნის პასუხისმგებლობა, რადგან ბათუმი პატარა ქალაქია და ყოველთვის ყველას უნდა ჰქონდეს ერთმანეთზე თვალებში ჩახედვის საშუალება.

სხდომის თავმჯდომარე განაცხადა, რომ ლევან ანთაძის ბოლო ფრაზები მოეწონა, რომ ბათუმი პატარა ქალაქია და ყოველთვის ყველას უნდა ჰქონდეს ერთმანეთზე თვალებში ჩახედვის საშუალება. ყველაფერი წარმავალია, მაგრამ ხაზგასმით აღნიშნა, რომ ის ხანა, როცა სამსახურებში კლასებად იყო დაყოფილი, დამთავრდა. სამსახურიდან თავისუფლდებიან დასაბუთებული არგუმენტებით.

საკრებულოს წევრი - ნოდარ დუმბაძე მიესალმა და აღნიშნა, რომ დღეს წესის მიხედვით დღის წესრიგიდან რამდენიმე საკითხის ამოღება უნდა მომხდარიყო.

ა(ა)იპ-ებიდან და შპს-ებიდან თანამდებობების უფროსების გადაცვლა მოხდა, აინტერესებს წინა წლებში სახელმწიფო აუდიტის დასკვნები, რომლებიც წარმოდგენილი იყო, თუმცა ვერ დააბრალებთ რომ ნაციონალური მოძრაობის მიერ არის გაკეთებული. სახელმწიფო აუდიტი წერს, რომ რამოდენიმე ათეული ათასი ლარის გაფლანგვაა, თუმცა ასეთ ადამიანებს ტოვებთ სამსახურებში და იმ ადამიანებს, რომლებიც დაბალ თანამდებობებზე იყვნენ დასაქმებული ათავისუფლებთ. დასვა კითხვა აუდიტის დასკვნის მიხედვით რას აპირებს მერია.

საკრებულოს წევრი - ნატალია ზოიძე მიესალმა და აღნიშნა, რომ ეთანხმება კოლეგებს, დღეს მათი საგარეო ვექტორი საკითხთან დაკავშირებით შეახსენა, რომ ეს ვექტორი კარგა ხანიაა, მიმართულება განსაზღვრულია ქართული ოცნების მიერ და ქართულ ოცნებას ბრძოლით უწევს იმ შედეგის დადება რა შედეგიც არის, ბევრად უკეთესი შედეგი ექნებოდა ქვეყანას, რომ ასეთი დესტრუქციული დამოკიდებულება არ იყოს და უზარმაზარი ძალისხმევით რომ არ უწევდეს ხელისუფლებას იმ ნაბიჯების გადადგმა, რომელმაც განაპირობა უვიზო რეჟიმი ჩვენი მოქალაქეებისთვის 2017 წლიდან, რომელმაც განაპირობა ის, რომ 2024 წლიდან ევროპაში შესვლის ხმამაღალი განაცხადია გაკეთებული, ეს ყველაფერი დასტურია სწორი საგარეო კურსისა და იმ საერთაშორისო მხარდაჭერის რაც აქვთ. რვა წლის განმავლობაში ოპოზიციურ პარტიას ეხვეწებიან შემრიგებლობას, მაგრამ არაფერი არ ეშველათ და საზოგადოება მშვიდი ცხოვრების რეჟიმში ვერ გადაიყვანეს. რაც შეეხება პოლიტიკურ დევნას, ის დასაბუთებულ გათავისუფლებას ემხრობა, ემხრობა იმას, რომ ნებისმიერი ასეთი ნაბიჯი იყოს დასაბუთებული, მაგრამ რაც შეეხება განსხვავებულ აზრს, რომელიც 2011 წლიდან არც წარმოუთვამს და 2012 წლის 16 ივლისს დელფინარიუმის დირექტორის თანამდებობიდან ხელისუფლებამ გაათავისუფლა, თუმცა არ უთქვამთ დასაბუთებული არგუმენტი. მართვის ხელშეკრულების გაუქმების აუცილებელი პირობა არ იყო დირექტორის გათავისუფლება.

სხდომის თავმჯდომარემ - სულიკო თებიძემ განაცხადა დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების განხილვის დაწყების და სხდომის განახლების თაობაზე.

მ ო ი ს მ ი ნ ე ს :

საკითხი 1. „ადგილობრივი საქალაქო რეგულარული სამგზავრო გადაყვანის M2 და M3 კატეგორიის ავტობუსებისათვის ნებართვის გაცემის ფასის განსაზღვრის შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 28 ივნისის №51 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.

(მომხს: ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური პოლიტიკის სამსახურის საქალაქო ტრანსპორტის და სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის პოლიტიკის განყოფილების უფროსი ემზარ ქავყარაძე)

მომხსენებელი მიესალმა დამსწრე-საზოგადოებას და აღნიშნა, რომ მიმდინარე ეტაპისათვის აღნიშნული სახის ცვლილება განპირობებულია მსოფლიო პანდემიით (COVID-19)-ით, როგორც ცნობილია ახალი კორონა ვირუსის გავრცელების პირობებში გამოცხადებული ლოქდაუნის დროს აღნიშნულ სფეროში დასა-

ქმებულებს შეჩერებული ჰქონდათ ეკონომიკური საქმიანობის განხორციელების უფლება, რამაც მათ საქმიანობაზე მოახდინა ნეგატიური გავლენა და განიცადეს გარკვეული სახის ფინანსური ზარალი, გამომდინარე აქედან მიღებული იქნა გადაწყვეტილება ეკონომიკური საქმიანობის მხარდაჭერის მიზნით მიმდინარე ეტაპზე დაუწესდეთ ნებართვის ფასის გადახდის სიმბოლური თანხა ერთი ლარი ოდენობით.

ა ზ რ ი

გ ა მ ო თ ქ ვ ე ს:

საკრებულოს წევრმა დავით მახარაძემ დასვა კითხვა თანხის დაახლოებითი ციფრის თაობაზე, რაზედაც მომხსენებელმა აღნიშნა 100 000 ლარი. დავით მახარაძემ განაცხადა, რომ დაწვევა კარგია, მაგრამ ისინი თუ არიან ინფორმირებული რომ მომავალში ფასის აწევას დისკონფორტი არ მოყვებს.

სხდომის თავმჯდომარემ - სულიკო თებიძემ წარმოდგენილი საკითხი დააყენა კენჭისყრაზე:

კენჭისყრისას სხდომას ესწრებოდა: 16

არ ესწრებოდა: 4 (მ. ქამადაძე, ლ. ანთაძე,
ნ. დუმბაძე, ა. მამულაძე)

კენჭისყრის შედეგები: მომხრე - 16

წინააღმდეგი - 0

და ა დ გ ი ნ ე ს : მიღებული იქნა წარმოდგენილი დადგენილების პროექტი.

საზოგადოება „ბათომის“ წევრმა, ჟურნალისტმა და აქტივისტმა ირმა ზოიძემ სულიკო თებიძეს უთხრა, რომ ის, ქალაქისთვის მავნე გადაწყვეტილებების მიღებისას, ცდილობს, დისკომფორტი არავინ შეუქმნას და სხდომებს დახურული წესით ატარებს. საკრებულოს საქმიანობის ერთ-ერთ ძირითად პრინციპს კი საჯაროობა წარმოადგენს.

სხდომის თავმჯდომარემ გამოაცხადა 10 წუთიანი შესვენება 11.40 სთ.

სხდომა განახლდა 11.50 სთ.

შესვენების შემდეგ სხდომას არ ესწრებოდა: თ. კახიძე.

საკრებულოს წევრმა რაულ თავართქილაძემ განაცხადა, რომ საკრებულოს რეგლამენტი ყველამ უნდა დაიცვას, რაზედაც დაეთანხმა სხდომის თავმჯდომარე. ასევე რაულ თავართქილაძემ აღნიშნა, რომ სახანძრო-სამაშველო სამსახურს მადლობა გადაუხადა სწრაფი რეაგირებისათვის, რადგან კორპუსთან მისასვლელის არ ქონის გამო მაინც შეძლეს ხანძრის ჩაქრობა. გამომდინარე აქედან მშენებლობის ნებართვა არ უნდა გაიცეს ისეთ ობიექტზე, თუ სახანძრო ან სასწარფო მანქანა ვერ მოახერხებს მისვლას.

მ ო ს მ ი ნ ე ს :

საკითხი 2. „ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტით დამტკიცებული ქვეპროგრამების „საერთაშორისო ფესტივალების მხარდაჭერა“ ფარგლებში კონკურსის ჩატარების პირობების შესახებ დებულების დამტკიცების თაობაზე“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

(მომხს: ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამსახურის უფროსი მერაბ ქიძინიძე)

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტით დამტკიცებული ქვეპროგრამის „საერთაშორისო ფესტივალების მხარდაჭერის“ ფარგლებში, კონკურსის ჩატარების, ფესტივალების შერჩევის და განხორციელებასთან დაკავშირებული საკითხების დარეგულირება, კონკურსში გამარჯვებული სუბიექტების იურიდიული პირების (პროექტების ავტორების) მიერ წარმოდგენილი პროექტების განსახორციელებელი კულტურული ღონისძიებების დაფინანსებისა და ანგარიშსწორების პროცედურების და პირობების განსაზღვრა.

მომხსენებელმა წამოაყენა წინადადება პროექტში ცვლილებების შეტანასთან დაკავშირებით, დანართი 1-ის პირველი მუხლის მე-2 ქვეპროგრამის ამოღების თაობაზე, ასევე დებულებაში შემდეგი ქვეპროგრამების დამატების შესახებ, კერძოდ:

მე-8 ქვეპროგრამა, რომელიც ითვალისწინებს: განვითარების პირობების დაწესების, კონკურენტურიანი გარემოს შექმნის და თანაბარი პირობების უზრუნველყოფის მიზნით, შემოღებულია პროექტების შერჩევის საკვალიფიკაციო შეფასების პროცედურა, რაც გულისხმობს - პირველივე ეტაპზე, შემოსული პროექტების შესაბამისობის დადგენას და შეფასებას გაზომვადი (და არა სუბიექტური) კრიტერიუმების გათვალისწინებით, კონკურსის მიზნობრიობასთან, მოთხოვნებთან, მერიის ხედვებთან და გათვლებთან თანხვედრის მიმართულებით,

მე-17 ქვეპროგრამა: საკვალიფიკაციო შეფასება - იხილეთ დანართი 6;

მე-18 ქვეპროგრამა: მცირეფასიანი აქტივი - 500 ლარზე ნაკლები ღირებულების და ერთ წელზე მეტი ვადით, მრავალჯერადი გამოყენების ტექნიკა, ინვენტარი და მოწყობილობა.

ა ზ რ ი

გ ა მ ო თ ქ ვ ე ს:

საკრებულოს წევრმა რაულ თავართქილაძემ აღნიშნა, რომ კარგი პროგრამაა, მომავალში ადგილობრივ ამ სფეროს მესვეურებს, წარმომადგენლებს, მომღერლებს რაღაც საშუალება გამოუნახოთ.

საკრებულოს წევრმა არჩილ მამულაძემ აღნიშნა, რომ კულტურის დარგი პანდემიის დროს ვერ განვითარდა, ამიტომ აუცილებელია მხარდაჭერა. პირადად მან და საკრებულოს წევრებს მოუწოდა, რომ განსაკუთრებით გაკონტროლდეს ხარჯვითი პროცესი. მან მოითხოვა წარმოდგენილი პროექტის შესარჩევ კომისიაში კომისიის წევრად შეყვანა.

საკრებულოს წევრმა ზურაბ ნაკაიძემ დასვა კითხვა

ლონისძიების დაფინანსების თაობაზე, რაზედაც მომხსენებელმა განმარტა, რომ მსხვილი და ტრადიციული ღონისძიებები, რომელიც აპრობირებულია და ცნობადი სახეა და წონადი ღონისძიებები ტარდება, შესაბამისად იგივე ადრესატები მიმართავენ აჭარის ა.რ. განათლების სამინისტროს და მათი სახსრებით აფინანსებენ. თუ მათ არ ექნებათ თანადაფინანსება ის ვერ მიიღებს კონკურსში მონაწილეობას. ქალბატონ ლიანა ისაკაძის და ელისო ბოლქვაძის კონცერტები არის მასტერკლასების ჩატარება.

სხდომის თავმჯდომარემ - სულიკო თებიძემ წარმოდგენილი საკითხი, მომხსენებლის მიერ წამოყენებული ცვლილებებით დააყენა კენჭისყრაზე:

კენჭისყრისას სხდომას ესწრებოდა: 16
არ ესწრებოდა: 3 (მ. ქამადაძე, ლ. ანთაძე,
ნ. დუმბაძე)

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 16

წინააღმდეგი - 0

და ა ა დ გ ი ნ ე ს : მიღებული იქნა წარმოდგენილი განკარგულების პროექტი.

ბათუმის საკრებულოში დილიდან ხმაური იყო, სხვა საკითხებთან ერთად დღის წესრიგით გათვალისწინებული იყო სასტუმრო „ლე მერიდიანის“ მფლობელი კომპანიის ბულვარის გასწვრივ, „ლე მერიდიანის“ შენობის პირდაპირ, 3380 კვ.მ. ტერიტორიის გრძელვადიანი იჯარით გადაცემის საკითხი, რასაც მოსახლეობის ნაწილი ეწინააღმდეგებოდა. მოქალაქეები, რომლებიც ეწინააღმდეგებიან პლაჟების გასხვისებას, საკრებულოს სხდომაზე დასწრება სურდათ, თუმცა სხდომათა დარბაზში პანდემიიდან გამომდინარე ვერ დაუშვეს.

ბათუმის ბულვარის დირექტორმა ირაკლი ჯინჭარაძემ განაცხადა, რომ მისი გამოსვლა არ ჩაუთვალათ ოპოზიციურ გამოსვლად. დღესაც პარტია „ქართული ოცნების“ გულშემმატკივარი არის, თუმცა განაცხადა, რომ ეს არ ნიშნავს გასხვისდეს და მიეცეს იჯარით პლაჟები, იმიტომ რომ ქანდაკების ალი და ნინოდან რომ გაყვეთ ბულვარის დასასრულამდე არის ძალიან ბევრი გასხვისებული პლაჟები, რომელმაც შეუქმნა პრობლემა. ბულვარი საჯარო ადგილია და ის ყველასთვის უნდა იყოს ხელმისაწვდომი. არა გვაქვს ჩვენ ფუფუნება, ძალიან პატარა სანაპირო გაგვაჩნია, ამიტომ უნდა იყოს ყველასათვის. ბათუმის ბულვარის პლაჟს სარგებლობს როგორც ბათუმელი, გურული, იმერელი, კახელი, თბილისელი და არ ყოფნის. წინააღმდეგია პლაჟების გადაცემისა კერძო საკუთრებაში, რადგან პრაქტიკიდან გამომდინარე, არ მოგვიტანა შედეგი. ვხედავთ, რომ შუაგულ ძეგლში, ძველ ტერიტორიაზე, აუზია შემოღობილი, უნდა „ალიანსს“ ასევე პლაჟი „მერიოტისათვის“ და უნდა სხვადასხვა კომპანიას. ხვალ ჩვენ მოვალთ ისე, რომ ვერავინ ვერ შევალთ, თუ არ გადავიხდით 50

და 100 ლარს. ეს შეუძლებელია, ბულვარი არის საჯარო სივრცე, ქვეყნის მთავარი საჯარო სივრცე და არა მარტო ქალაქის.

საკრებულოს წევრმა ნერიმან ცინცაძემ განაცხადა, რომ ბულვარზე მას შესტკივა, რადგან უყვარს ბათუმი. პლაჟი განსაკუთრებით მისახედაია, ნებისმიერ ქვეყანაში პლაჟი არის მიზნული ბრენდულ სასტუმროზე, თუმცა სასტუმროებმა არ უნდა მოიქცნენ ისე, როგორც მათ აწყობთ. ეს უნდა იყოს კონტროლებადი, მონიტორინგი უნდა შესრულდეს, ის თვლის რომ პლაჟის ეს ნაწილი უნდა გაიცეს, მაგრამ ყველა-სათვის უნდა იყოს. კონკრეტულად ეს ადგილი, რაზედაც საუბარია არის მოუვლელი. ბულვარის დირექტორს ასეთი დიდი ტკივილი თუ ჰქონდა, ერთხელაც მისგან არ გაუგონია.

საკრებულოს წევრმა ნატალია ზოიძემ დააფიქსირა, რომ თუ მათ არ სცემენ პატივს ამ კედლებში არსებულ რეგლამენტს, და თუ არ დავიცავთ ყველა ის წესი, რომელიც საუკუნეები არსებობს, რეგლამენტის თანახმად დღის წესრიგი რომ დამტკიცდა საკითხის ამოღება და დამატება ხდება დღის წესრიგის დამტკიცებამდე.

მ ო ი ს მ ი ნ ე ს :

საკითხი 3. „ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, სარგებლობის უფლებით, აუქციონის წესით განსაკარგი ქონების საწყისი წლიური სარგებლობის საფასურის განსაზღვრის შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

(მომხს: ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური ქონების და სერვისების მართვის სამსახურის უფროსის მ/შ დავით კოპინაძე)

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული სარგებლობის (იჯარის) უფლებით, აუქციონის წესით სარგებლობაში განსაკარგი ქონების (მიწის ნაკვეთი) საწყისი წლიური სარგებლობის საფასურის განსაზღვრა, შემდგომი განკარგვის მიზნით. პროექტის განხორციელება დადებითად აისახება ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე მითითებული ქონების სარგებლობის უფლებით გადაცემის შემთხვევაში, აუქციონში გამარჯვებულის მიერ ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში შეტანილი ქონების სარგებლობის საფასურის სახით.

სხდომის თავმჯდომარემ - სულიკო თებიძემ წარმოდგენილი საკითხი დააყენა კენჭისყრაზე:

კენჭისყრისას სხდომას ესწრებოდა: 17

არ ესწრებოდა -2 (ნ. დუმბაძე, მ. ქამადაძე)

კენჭისყრის შედეგები: მომხრე - 16

წინააღმდეგი - 1 (ლ. ანთაძე)

და ა ა დ გ ი ნ ე ს : მიღებული იქნა წარმოდგენილი განკარგულების პროექტი.

მ ო ი ს მ ი ნ ე ს :

საკითხი 4. „ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული საპრივატიზაციო ობიექტების ნუსხის და პრივატიზაციის გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 30 მარტის N34 განკარგულებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

(მომხს: ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური ქონების და სერვისების მართვის სამსახურის უფროსის მ/შ დავით კოპინაძე)

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიაში წარმოდგენილი განცხადებების საფუძველზე, ასევე ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის ინიციატივით ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში დარეგი-სტრირებული უძრავი/მომრავი ქონებების (მიწის ნაკვეთები) ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებულ საპრივატიზაციო უძრავი ობიექტების ნუსხასა და პრივატიზაციის გეგმაში შეტანა, შემდგომი განკარგვის მიზნით. პროექტის განხორციელება დადებითად აისახება ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე მითითებული ქონების პრივატიზების შემთხვევაში, აუქციონში გამარჯვებულის მიერ ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში შეტანილი საპრივატიზაციო საფასურის სახით.

სხდომის თავმჯდომარემ - სულიკო თებიძემ წარმოდგენილი საკითხი დააყენა კენჭისყრაზე:

კენჭისყრისას სხდომას ესწრებოდა: 17

არ ესწრებოდა -2 (ნ. ღუმბაძე, მ. ქამადაძე)

კენჭისყრის შედეგები: მომხრე - 16

წინააღმდეგი - 1 (ლ. ანთაძე)

და ა ა დ გ ი ნ ე ს : მიღებული იქნა წარმოდგენილი განკარგულების პროექტი.

მ ო ი ს მ ი ნ ე ს :

საკითხი 5. „ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში რეგისტრირებული, ქ. ბათუმში, ფიროსმანის ქ. N25-ში მდებარე უძრავი ქონების სახელმწიფოსათვის უსასყიდლოდ საკუთრებაში გადაცემის შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

(მომხს: ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური ქონების და სერვისების მართვის სამსახურის უფროსის მ/შ დავით კოპინაძე)

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიაში წარმოდგენილია სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს თავმჯდომარის 2021 წლის 29 იანვრის N 5/3427 (N04-1421029231-14) წერილი, რომელშიც აღნიშნულია, რომ საქართველოს თავდაცვის სამინისტრომ 2021 წლის 26 იანვარს N MOD 1 21 00034304 წერილით მიმართა სსიპ-სახელმწიფო ქონების ეროვნულ სააგენტოს, ქალაქ ბათუმში, ფიროსმანის ქ. N25-ში მდებარე, ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის

საკუთრებაში რეგისტრირებული 1180,00 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის (ს.კ. 05.24.08.170) საქართველოს თავდაცვის სამინისტრო-სათვის უსასყიდლოდ სარგებლობის უფლებით გადაცემასთან დაკავშირებით.

სსიპ-სახელმწიფო ქონების ეროვნულ სააგენტოს მიზანშეწონილად მიაჩნია და ითხოვს, რომ განხორციელდეს ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, ქ. ბათუმში, ფიროსმანის ქ. N25-ში მდებარე 1180,00 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის (ს.კ. 05.24.08.170) სახელმწიფოსათვის საკუთრებაში გადაცემა, მისი შემდგომში საქართველოს თავდაცვის სამინისტრო-სათვის უსასყიდლოდ სარგებლობაში გადაცემის მიზნით.

სხდომის თავმჯდომარემ - სულიკო თებიძემ წარმოდგენილი საკითხი დააყენა კენჭისყრაზე:

კენჭისყრისას სხდომას ესწრებოდა: 17

არ ესწრებოდა -2 (ნ. დუმბაძე, მ. ქამადაძე)

კენჭისყრის შედეგები: მომხრე - 16

წინააღმდეგი - 1 (ლ. ანთაძე)

და ა ა დ გ ი ნ ე ს : მიღებული იქნა წარმოდგენილი განკარგულების პროექტი.

მ ო ი ს მ ი ნ ე ს : საკითხი 6. „ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში რეგისტრირებული, ქ.ბათუმში, ნ. შაშიკაშვილის N74-ში მდებარე უძრავი ქონების აჭარის ავტონომიური რესპუბლიკისათვის უსასყიდლოდ, საკუთრებაში გადაცემის შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

(მომხს: ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური ქონების და სერვისების მართვის სამსახურის უფროსის მ/შ დავით კოპინაძე)

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიაში წარმოდგენილია აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარის 2021 წლის 01 მარტის N 687/02 (N07-1421060562-14) წერილი, რომელშიც აღნიშნულია, რომ მომზადებულია ქალაქ ბათუმის ადმინისტრაციულ ტერიტორიაზე სამრეწველო ზონის მიმდებარედ (მახოს ხიდის, გონიოს ხიდისა და „გეზ“-ის მიმდებარედ) მთავარი და მეორეხარისხიანი გზების მშენებლობის საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია. პროექტის შეუფერხებლად განხორციელების მიზნით, იგეგმება ქ. ბათუმში შაშიკაშვილის ქუჩა N74-ში მდებარე, ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში რეგისტრირებული 1819კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის (ს.კ. 05.32.23.005) ნაწილის მონაცვლეობა საპროექტო არეალში მოხვედრილ, კერძო საკუთრებაში რეგისტრირებულ ტოლფას მიწის ნაკვეთებთან.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობას მიზანშეწონილად მიაჩნია და ითხოვს განხორციელდეს ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, ქ. ბათუმში, ნ. შაშიკაშვილის N74-ში მდებარე 1819 კვ.მ. არასასოფლო-

სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის (ს.კ. 05.32.23.005) აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის საკუთრებაში გადაცემა.

სხდომის თავმჯდომარემ - სულიკო თებიძემ წარმოდგენილი საკითხი დააყენა კენჭისყრაზე:

კენჭისყრისას სხდომას ესწრებოდა: 17

არ ესწრებოდა -2 (ნ. დუმბაძე, მ. ქამადაძე)

კენჭისყრის შედეგები: მომხრე - 17

წინააღმდეგი - 0

და ა ა დ გ ი ნ ე ს : მიღებული იქნა წარმოდგენილი განკარგულების პროექტი.

მ ო ი ს მ ი ნ ე ს :

საკითხი 7. „ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში რეგისტრირებული, გოგებაშვილის ქუჩის მიმდებარედ არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთების სარგებლობაში განკარგვასთან დაკავშირებით ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

(მომხს: ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური ქონების და სერვისების მართვის სამსახურის უფროსის მ/შ დავით კოპინაძე)

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიაში შემოვიდა შპს „ბათუმის საზღვაო ნავსადგური“-ს წერილი (№0409-08/29; 26.11.2020წ., მერიაში რეგისტრაციის №10/142033257-14), რომელშიც აღნიშნულია, რომ გოგებაშვილის ქუჩაზე №05.21.21.020 საკადასტრო კოდით ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთზე აპირებს მოაწყოს ორი ერთეული განათების ბოძი და ითხოვს ჯამში 8 კვ.მ. (4კვ.მ+4კვ.მ) მიწის ნაკვეთის გამოყოფას წარმოდგენილი სიტუაციური ნახაზის მიხედვით. ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ განხორციელდა ზემოთაღნიშნული მიწის ნაკვეთიდან ორი მიწის ნაკვეთის ცალკე საკადასტრო ერთეულებად დარეგისტრირება: №05.21.21.032 – 4 კვ.მ და №05.21.21.033 – 4 კვ.მ.

ხსენებული გარემოებების გათვალისწინებით, ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიას მიზანშეწონილად მიაჩნია დაკმაყოფილდეს შპს „ბათუმის საზღვაო ნავსადგური“-ს მოთხოვნა და გოგებაშვილის ქუჩის მიმდებარედ ორი ერთეული განათების ბოძების მოწყობის მიზნით, №05.21.21.032 – 4 კვ.მ და №05.21.21.033 – 4 კვ.მ მიწის ნაკვეთები შპს „ბათუმის საზღვაო ნავსადგურს“ გადაეცეს პირდაპირი განკარგვის წესით, სასყიდლიანი სარგებლობის - იჯარის უფლებით, 5 წლის ვადით. მიწის ნაკვეთების წლიური სარგებლობის საფასური განისაზღვროს ჯამში 2000 (ორი ათასი) ლარის ოდენობით (მიწის ნაკვეთების №05.21.21.032 – 4 კვ.მ და №05.21.21.033 – 4 კვ.მ) საპრივატიზებო ღირებულებაა $17360 \times 2 = 34720$ ლარი; 5%-

868x2=1736 ლარი; ექსპერტიზის დასკვნა 1. №001334621, 2021წ ს/კ №05.21.21.032 – 4 კვ.მ., 2. №001334521, 2021წ, ს/კ №05.21.21.033 – 4 კვ.მ.).

სხდომის თავმჯდომარემ - სულიკო თებიძემ წარმოდგენილი საკითხი დააყენა კენჭისყრაზე:

კენჭისყრისას სხდომას ესწრებოდა: 17

არ ესწრებოდა -2 (ნ. დუმბაძე, მ. ქამადაძე)

კენჭისყრის შედეგები: მომხრე - 17

წინააღმდეგი - 0

და ა დ გ ი ნ ე ს : მიღებული იქნა წარმოდგენილი განკარგულების პროექტი.

მ ო ი ს მ ი ნ ე ს :

საკითხი 8. „ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის პოლიტიკური თანამდებობის პირების და პროფესიული საჯარო მოხელეების თანამდებობრივი სარგოების და საშტატო ნუსხის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 16 მარტის №28 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.

(მომხს: ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური ქონების და სერვისების მართვის სამსახურის უფროსის მ/შ დავით კოპინაძე)

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 16 მარტის №28 დადგენილებით დამტკიცებულია „ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის პოლიტიკური თანამდებობის პირების და პროფესიული საჯარო მოხელეების თანამდებობრივი სარგოები და საშტატო ნუსხა, რომლის მიხედვით მერიის სტრუქტურულ ერთეულებში გათვალისწინებულია შესაბამისი სტრუქტურული ქვედანაყოფები.

„მიწის ნაკვეთებზე უფლებათა სისტემური და სპორადული რეგისტრაციის წესისა და საკადასტრო მონაცემების სრულყოფის შესახებ“ საქართველოს კანონში შეტანილი ცვლილებიდან გამომდინარე გაიზარდა ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის კერძოდ, მუნიციპალური ქონების და სერვისების მართვის სამსახურის საკუთრების აღიარების განყოფილების ფუნქციები. არსებული ფუნქციონალური დატვირთვისა და პასუხისმგებლობის მაღალი სტანდარტის გათვალისწინებით, აღნიშნული პროექტის მიზანია ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციის საქმისწარმოების განყოფილებაში არსებული მეოთხე რანგის - პირველი კატეგორიის უმცროსი სპეციალისტის (ამჟამად ვაკატურია) ერთი საშტატო ერთეულის ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური ქონების და სერვისების მართვის სამსახურის საკუთრების აღიარების განყოფილებაში გადატანა.

წინამდებარე პროექტის მიღების ძირითადი არსია „ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის პოლიტიკური თანამდებობის პირების და პროფესიული

საჯარო მოხელეების თანამდებობრივი სარგოების და საშტატო ნუსხის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 16 მარტის №28 დადგენილებაში ცვლილების შეტანა, რომლის მიხედვით:

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციის საქმისწარმოების განყოფილებაში არსებული მეოთხე რანგის - პირველი კატეგორიის უმცროსი სპეციალისტის ერთი საშტატო ერთეული გადადის ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური ქონების და სერვისების მართვის სამსახურის საკუთრების აღიარების განყოფილებაში.

სხდომის თავმჯდომარემ - სულიკო თებიძემ წარმოდგენილი საკითხი დააყენა კენჭისყრაზე:

კენჭისყრისას სხდომას ესწრებოდა: 17

არ ესწრებოდა -2 (ნ. დუმბაძე, მ. ქამადაძე)

კენჭისყრის შედეგები: მომხრე - 17

წინააღმდეგი - 0

და ა დ გ ი ნ ე ს : მიღებული იქნა წარმოდგენილი დადგენილების პროექტი.

მ ო ი ს მ ი ნ ე ს :

საკითხი 9. „ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში რეგისტრირებული, ქ.ბათუმში, გალაქტიონ ტაბიძის ქ. №13ა-ს მიმდებარედ არსებული 42.00 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის პირდაპირი განკარგვის წესით იჯარით სარგებლობაში გადაცემასთან დაკავშირებით ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

(მომხს: ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური ქონების და სერვისების მართვის სამსახურის უფროსის მ/შ დავით კოპინაძე)

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიას განცხადებით (N 7550/25; 11,05,2020წ) მომართა ომარ ქამადაძემ, რომლითაც ითხოვს ქ. ბათუმში, გალაქტიონ ტაბიძის ქ. №13ა-ს მიმდებარედ არსებული 42.00 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: 05.25.05.238) სარგებლობაში გადაცემას, საზოგადოებრივი ობიექტის (რესტორანი) საქმიანობისათვის გამოყენების მიზნით, კერძოდ 8 ერთეული მაგიდის განთავსებისათვის.

საქართველოს მთავრობის 2014 წლის 08 დეკემბრის №669 დადგენილებით დამტკიცებული „მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებებით გადაცემის, საპრივატიზებო საფასურის, საწყისი

საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრის და ანგარიშსწორების წესები“-ს 22-ე მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, მუნიციპალიტეტის ქონების სარგებლობის უფლებით გადაცემა ხდება აუქციონის ფორმით ან პირდაპირი განკარგვის წესით. მუნიციპალიტეტის ქონების სარგებლობის უფლებით გადაცემის შესახებ გადაწყვეტილებას იღებს მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ორგანო, მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანხმობით, ხოლო ამავე მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, მუნიციპალიტეტის ქონების სარგებლობის უფლებით გადაცემის ვადას განსაზღვრავს მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ორგანო, გარდა იმ შემთხვევისა, როცა მუნიციპალიტეტის ქონების პირდაპირი განკარგვის წესით სარგებლობის უფლებით გადაცემა ხდება უსასყიდლოდ.

ხსენებული გარემოებების გათვალისწინებით, ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიას მიზანშეწონილად მიაჩნია დაკმაყოფილდეს ომარ ქამადაძის განცხადება და მის საკუთრებაში არსებულ (05.25.057.01.508) რესტორანთან ფუნქციურად დაკავშირებული სივრცის გამოყენების მიზნით, პირდაპირი განკარგვის წესით, 05 წლის ვადით, იჯარით სარგებლობაში გადაეცეს ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, გალაქტიონ ტაბიძის ქ. №13ა-ს მიმდებარედ არსებული 42.00 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი (საკადასტრო კოდი: 05.25.05.238), მიწის საპრივატიზებო ღირებულება 23 100 ლარი; 5%- 1155 ლარი; აუდიტის დასკვნა #ბთ/მ-86 19.06.2020 წ.). მიწის ნაკვეთის წლიური სარგებლობის საფასური განისაზღვროს 1500 ლარის ოდენობით.

ა ზ რ ი

გ ა მ ო თ ქ ვ ე ს :

საკრებულოს წევრმა არჩილ მამულაძემ განაცხადა, კაფე-ბარების მიერ ფეხით სავალი ნაწილის ათვისება-სთან დაკავშირებით, რომელიც დღითიდღე მრავლდება და წინააღმდეგია ასეთი ნებართვების გაცემისა.

სხდომის თავმჯდომარემ - სულიკო თებიძემ წარმოდგენილი საკითხი დააყენა კენჭისყრაზე:

კენჭისყრისას სხდომას ესწრებოდა:18
არ ესწრებოდა: 1(მ. ქამადაძე)

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 14

წინააღმდეგი - 3(ა. მამულაძე, ნ. დუმბაძე, რ. თავართქილაძე)

არ მიიღო მონაწილეობა-1(ლ. ანთაძე)

დ ა ა დ გ ი ნ ე ს : მიღებული იქნა წარმოდგენილი განკარგულების პროექტი.

მ ო ო ს მ ი ნ ე ს :

საკითხი 10. „ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში რეგისტრირებული, ზღვისპირა პლაჟის მონაკვეთების პირდაპირი განკარგვის წესით იჯარით სარგებლობაში გადაცემასთან დაკავშირებით ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

(მომხს: ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური ქონების და სერვისების მართვის სამსახურის უფროსის მ/შ დავით კოპინაძე)

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიას განცხადებით მომართა შპს „ბათუმი თაუერი“-ს დირექტორმა მირიან ქათამაძემ, სადაც განმარტავს, რომ კომპანიის საკუთრებას წარმოადგენს ქ. ბათუმში ნინოშვილი/-ქლენტის ქუჩების კვეთაში არსებული 4504,00 არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი მასზე არსებული ე.წ. ბათუმი თაუერის მაღლივი შენობა. განმარტავს, რომ მითითებული ქონება მათ მიერ შეძენილი იქნა 2015 წელს სახელმწიფოს მიერ გამართულ საჯარო აუქციონზე.

ა ზ რ ი

გ ა მ ო თ ქ ვ ე ს:

საკრებულოს წევრმა მირდატ ქამადაძემ აღნიშნა, რომ დღეს მნიშვნელოვანი დღეა, ან საერთო შერიგებას და შეთანხმებას აღწევს ან რჩებიან პოლარიზებული. პასუხისმგებლობა თუ ხელისუფლებას ეკისრება ერთ-ერთი საკითხი არის წარმოდგენილი პროექტი. არ შეიძლება ამ ვითარებაში ასეთი დაძაბული ფონის შექმნა. წარმოდგენილი საკითხის ამოღება მოითხოვს.

სხდომის თავმჯდომარემ უპასუხა, რომ სამწუხარო ფაქტია, რომ უკვე მეექვსე თვეა საკრებულოს არცერთ ღონისძიებაში არ მიგიღიათ მონაწილეობა, რაზედაც მირდატ ქამადაძემ უპასუხა, რომ პოლიტიკურად წარმოადგენს ადამიანის უფლებებს და პროცესებში მონაწილეობს.

საკრებულოს წევრმა ზურაბ ნაკაიძემ აღნიშნა, რომ ბუღვარის დირექტორის დღევანდელი გამოსვლა იყო მოულოდნელი. თავდაპირველად როგორც მისთვის ცნობილი იყო, რომ ბატონი ირაკლი ჯინჭარაძე მომხრე იყო პლაჟის იჯარით გაცემაზე. მან მიმართა სხდომის თავმჯდომარეს რომ გამოაცხადოს შესვენება საკითხთან დაკავშირებით სიღრმისეული მსჯელობისათვის.

სხდომაზე დამსწრე მოქალაქეები ითხოვდნენ საკითხის ამოღებას, რადგან ეწინააღმდეგებოდნენ პლაჟების გასხვისებას.

საკრებულოს წევრმა ნატალია ძიძიგურმა ფრაქციის სახელით მოითხოვა 10 წუთიანი შესვენება.

საკრებულოს წევრმა არჩილ მამულაძემ განაცხადა, რომ მათი ფრაქციაც უერთდება ამ პათოსს და იმედი გამოთქვა ხალხის სასარგებლოდ საკითხის გადაწყვეტის თაობაზე.

სხდომის თავმჯდომარემ 10 წუთიანი შესვენება გამოაცხადა, 12.45 სთ.

სხდომა განახლდა: 12.55 სთ.

შესვენების შემდეგ სხდომას არ ესწრებოდა: ანზორ დევაძე.

სხდომის თავმჯდომარემ შესვენების შემდეგ გააცნო უმრავლესობის გადაწყვეტილება, რომ მუშაობის პროცესშია ბულვარის განვითარების გეგმა, რომლის პირველი ეტაპი დასრულებულია და ის მოთხოვნები, რასაც ითვლისწინებს ზღვისპირა ზოლის განვითარების გეგმა, ასახულია წრმოდგენილ მოთხოვნილებაში. აკმაყოფილებს ყველა იმ მოთხოვნას, რაც გათვალისწინებულია ბულვარის განვითარების გეგმით. მიუხედავად იმისა, რომ პირდაპირი განკარგვის წესით ქალაქის ბიუჯეტში საკმაოდ სოლიდური თანხა შემოვიდოდა, არა მარტო სეზონურად, არამედ წლის განმავლობაში, კომპანია ღებულობდა მის მოვლა-პატრონობაზე პასუხისმგებლობას, უმრავლესობამ მიიღო გადაწყვეტილება - საკითხი ამოღებული იქნას დროებით და განხილული იქნას მაშინ, როდესაც საკრებულოში დასამტკიცებლად შემოვა ბულვარის განაშენიანების გეგმა.

სხდომის თავმჯდომარემ - სულიკო თებიძემ წარმოდგენილი საკითხის დროებით ამოღება დააყენა კენჭისყრაზე:

კენჭისყრისას სხდომას ესწრებოდა: 18

კენჭისყრის შედეგები: მომხრე - 18

წინააღმდეგი - 0

და ა ა დ გ ი ნ ე ს : ამოღებული იქნა დროებით დღის წესრიგიდან წარმოდგენილი განკარგულების პროექტი.

მ ო ი ს მ ი ნ ე ს : საკითხი 11. „მუნიციპალური პროგრამის „ხელმისაწვდომი საცხოვრისი“ განხორციელების მიზნით გასატარებელი ღონისძიებების შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 19 სექტემბრის N73 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

(მომხს: ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური ქონების და სერვისების მართვის სამსახურის უფროსის მ/შ დავით კოპინაძე)

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ 2019 წლის 19 სექტემბერს გამოცა N73 განკარგულება „მუნიციპალური პროგრამის „ხელმისაწვდომი საცხოვრისი“ განხორციელების მიზნით გასატარებელი ღონისძიებების შესახებ“, რომელიც ძირითადად შეეხება პროგრამით მოსარგებლე ბენიფიციართა შერჩევის და ბინების გადაცემის საკითხებს. ამასთან, არ იყო განსაზღვრული ქ. ბათუმში, ივანე ჯავახიშვილის ქ. #78ბ-ში, ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებულ 3172,0 კვ.მ. მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი #05.26.02.015) აშენებულ „ა“ და „ბ“ კორპუსებში არსებული ბინების 1 კვ.მ ფართის თვითღირებულება საერთო სარგებლობის ფართთან და წილობრივ მიწასთან ერთად და შესაბამისად, თითოეული ბინის სრული თვითღირებულება და მისი ყოველთვიური გადასახადის ოდენობა.

- "ა" კორპუსის საერთო ფართია 1346,55 კვ.მ.; "ბ" კორპუსის 1352,89 კვ.მ.; სულ - 2699,44 კვ.მ.; კორპუსი "ა" - 20 ბინა; კორპუსი "ბ" - 20 ბინა; სულ 40 ბინა.

- "ა" კორპუსში 20 ბინის საერთო ფართი - 1158,3 კვ.მ.; "ბ" კორპუსში 20 ბინის საერთო ფართი - 1164,27 კვ.მ.; სულ 40 ბინის ფართი 2322,57 კვ.მ.;

- "ა" და "ბ" კორპუსების ღირებულება სულ 2 240 060,2 ლრ. („ა“ კორპ.-1 119 250,38 ლრ.; „ბ“ კორპ.-1 022 694,18ლრ.; კეთილმოწყობა - 69 315,64 ლრ.; საპროექტო სახარჯთაღრიცხვო - 28 800 ლრ.).

- ბინის 1 კვ.მ. ფართის საერთო სარგებლობის ფართებთან ერთად ღირებულება: $2\,240\,060,2 / 2322,57 = 964,47$ ლარი

- #05.26.02.015 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ 3172,00 კვ.მ. მიწის ნაკვეთზე სულ აშენდა 4 სახლი;

- 4 სახლში 80 ბინის საერთო ფართი: $2313,76 + 2322,57 = 4636,33$ კვ.მ.

- მიწის ნორმატული ღირებულება: $3172,00 * 165,6$ ლრ. = 525 283,2 ლარი.

- ბინის 1 კვ.მ. ფართზე წილობრივი მიწის ღირებულება: $525\,283,2 / 4636,33 = 113,3$ ლარი.

- ბინის 1 კვ.მ. ფართის ღირებულება საერთო სარგებლობის ფართთან და წილობრივ მიწასთან ერთად: $964,47 + 113,3 = 1077,77$ ლარი.

- "ა" კორპუსში 20 ბინის ღირებულება საერთო სარგებლობის ფართთან და წილობრივ მიწასთან ერთად 1 248 380,99 ლარი.

- "ბ" კორპუსში 20 ბინის ღირებულება საერთო სარგებლობის ფართთან და წილობრივ მიწასთან ერთად 1 254 815,28 ლარი.

- "ა" და "ბ" კორპუსებში 40 ბინის ღირებულება საერთო სარგებლობის ფართთან და წილობრივ მიწასთან ერთად სულ 2 503 196,27 ლარი.

- გამოსყიდვის ვადაა - 15 წელი - 180 თვე.

ზემოთაღნიშნულიდან გამომდინარე საჭიროა, რომ ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 19 სექტემბრის N73 განკარგულებაში შეტანილ იქნას ცვლილება და განკარგულების პირველი პუნქტის „ბ¹“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით: „ბ¹) „ქალაქ ბათუმში, ივანე ჯავახიშვილის ქ. №78ბ-ში, ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებულ 3174,0 კვ.მ. მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: 05.26.02.015) აშენებულ „ა“, „ბ“, „გ“ და „დ“ კორპუსებში არსებული ბინების 1 კვ.მ ფართის თვითღირებულება საერთო სარგებლობის ფართთან და წილობრივ მიწასთან ერთად განისაზღვროს 1083,0 (ერთიათას ოთხმოცდასამი) ლარის ოდენობით. შესაბამისად, თითოეული ბინის სრული თვითღირებულება და მისი ყოველთვიური გადასახადის ოდენობა კორპუსების მიხედვით განისაზღვროს თანახმად დანართი 1-სა და დანართი 2-სა“ („ა“ და „ბ“ კორპუსებშიც არსებული ბინების 1 კვ.მ ფართის თვითღირებულება საერთო

სარგებლობის ფართთან და წილობრივ მიწასთან ერთად განისაზღვროს ასევე 1083,0 (ერთიათას ოთხმოცდასამი) ლარის ოდენობით, როგორც განსაზღვრული იყო „გ“ და „დ“ კორპუსებში).

წინამდებარე პროექტის მიღების ძირითადი არსია „მუნიციპალური პროგრამის „ხელმისაწვდომი საცხოვრისი“ განხორციელების მიზნით გასატარებელი ღონისძიებების შესახებ“ ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 19 სექტემბრის N73 განკარგულებაში ცვლილების შეტანა - აშენებულ „ა“ და „ბ“ კორპუსებში ბინის 1 კვ.მ. ფართის საერთო სარგებლობის ფართთან და წილობრივ მიწასთან ერთად თვითღირებულების და თითოეული ბინის სრული თვითღირებულების და მისი ყოველთვიური გადასახადის ოდენობის განსაზღვრა.

ა ზ რ ი

გ ა მ ო თ ქ ვ ე ს:

საკრებულოს წევრმა არჩილ მამულაძემ განაცხადა, რომ პროცედურებთან დაკავშირებით იყო კომისიის სხდომაზე მსჯელობა გონივრულ ვადასთან დაკავშირებით, რომელიც შეიცვალა თუ იგივე დარჩა, მაგალითად 5 დღის ვადა ეძლეოდა ხარვეზის აღმოსაფხვრელად, რომელიც ვერ ხერხდებოდა.

საკრებულოს წევრმა ლევან ანთაძემ აღნიშნა, რომ გამოცხადებული იყო ტენდერი მომსახურებაზე, რისთვისაც საჭირო არ იყო პანდემიიდან გამომდინარე დამატებითი ხარჯები.

საკრებულოს წევრმა ნატალია ზოიძემ აღნიშნა, რომ მელიქიშვილის ქუჩაზე მსოფლიო ბანკის მიერ აშენებულ სოციალურ სახლში იქ მცხოვრები ვერ გახდა მესაკუთრეები, ასევე არ არსებობს რეგულაცია, დღემდე პროტესტი აქვთ და სარემონტო სამუშაოებსაც ვერ აკეთებენ.

სხდომის თავმჯდომარემ - სულიკო თებიძემ წარმოდგენილი საკითხი დააყენა კენჭისყრაზე:

კენჭისყრისას სხდომას ესწრებოდა: 17
არ ესწრებოდა: 1(მ. ქამადაძე)

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 16

წინააღმდეგი - 0

არ მიიღო მონაწილეობა - 1(ნ. დუმბაძე)

და ა დ გ ი ნ ე ს : მიღებული იქნა წარმოდგენილი განკარგულების პროექტი.

მოისმინეს :

საკითხი 12. „ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე გარე ვაჭრობის, ბაზრებისა და ბაზრობების რეგულირების წესის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.

(მომხს: ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური ქონების და სერვისების მართვის სამსახურის უფროსის მ/შ დავით კოპინაძე)

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ „ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე გარე ვაჭრობის, ბაზრებისა და ბაზრობების რეგულირების წესის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის მიღების მიზანია ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე გარე ვაჭრობის ადგილ(ებ)ის განსაზღვრის და გარე ვაჭრობისათვის განკუთვნილი ნივთის (ობიექტის) განთავსების, ასევე ბაზრისა და ბაზრობისათვის განკუთვნილი ტერიტორიის მოწყობის წესების განსაზღვრა, რომლითაც მოწესრიგებული იქნება გარე ვაჭრობის ადგილების განსაზღვრის, საზოგადოებრივი სივრცეების სარგებლობის, გარე ვაჭრობის დროს მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების სარგებლობისათვის ქირისა და სხვა აუცილებელი საკითხები. ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მიერ ნებართვები აღარ გაიცემა და გარე ვაჭრობა განხორციელდება მერიის მიერ გაცემულ სარგებლობით მიღებულ ტერიტორიაზე, შესაბამისად ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე გარე ვაჭრობის, ბაზრებისა და ბაზრობების რეგულირების წესი ყალიბდება ახალი რედაქციით. წინამდებარე პროექტის მიღების ძირითადი არსია ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე გარე ვაჭრობის, ბაზრებისა და ბაზრობების რეგულირების წესის და ტროტუარის ან სხვა საზოგადოებრივი სივრცის ტერიტორიაზე სავაჭრო-სარეალიზაციო ნივთების განთავსების დასაშვები პარამეტრების ცხრილის (ველობილიკის გამოკლებით) დამტკიცება.

სხდომის თავმჯდომარემ - სულიკო თეზიძემ წარმოდგენილი საკითხი დააყენა კენჭისყრაზე:

კენჭისყრისას სხდომას ესწრებოდა: 17
არ ესწრებოდა: 1(მ. ქამადაძე)

კენჭისყრის შედეგები: მომხრე - 17
წინააღმდეგი - 0

და ა ა დ გ ი ნ ე ს : მიღებული იქნა წარმოდგენილი დადგენილების პროექტი.

მ ო ს მ ი ნ ე ს :

საკითხი 13. „ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების და სარგებლობის უფლებით გადაცემის დამატებითი წესების და აუქციონში გამარჯვების დამადასტურებელი ოქმის, ნასყიდობის ხელშეკრულებისა და საკუთრების დამადასტურებელი მოწმობის ფორმების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 11 აპრილის №37 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.

(მომხს: ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური ქონების და სერვისების მართვის სამსახურის უფროსის მ/შ დავით კოპინაძე)

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ წინამდებარე პროექტის მიღების ძირითადი არსია „ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების და სარგებლობის უფლებით გადაცემის დამატებითი წესების და აუქციონში გამარჯვების დამადასტურებელი ოქმის, ნასყიდობის ხელშეკრულებისა და საკუთრების დამადასტურებელი მოწმობის ფორმების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 11 აპრილის №37 დადგენილებაში ცვლილების შეტანა, რომლის მიხედვით დადგენილებით დამტკიცებული „ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების და სარგებლობის უფლებით გადაცემის დამატებითი წესები“-ს პირველი მუხლი ყალიბდება შემდეგი რედაქციით:

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის (შემდგომში – მუნიციპალიტეტი) ქონების პრივატიზების და სარგებლობის უფლებით გადაცემის დამატებითი წესები (შემდგომში – წესი) განსაზღვრავს მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზებისა და სარგებლობის უფლებით გადაცემის დამატებით პირობებს და წესებს.“.

სხდომის თავმჯდომარემ - სულიკო თებიძემ წარმოდგენილი საკითხი დააყენა კენჭისყრაზე:

კენჭისყრისას სხდომას ესწრებოდა:17
არ ესწრებოდა: 1 (მ. ქამადაძე)

კენჭისყრის შედეგები: მომხრე - 17
წინააღმდეგი - 0

და ა დ გ ი ნ ე ს : მიღებული იქნა წარმოდგენილი დადგენილების პროექტი.

მ ო ს მ ი ნ ე ს :

საკითხი 14. „შპს „ბათუმის ავტოტრანსპორტი“-ს ბალანსზე რიცხულ ავტობუსებზე/ ავტობუსებში რეკლამის განთავსების უფლების ვადიან სასყიდლიან სარგებლობაში სააუქციონო პირობებით გადაცემის შესახებ წინადადების მოწონების შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 28 ნოემბრის N87 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

(მომხს: შპს „ბათუმის ავტოტრანსპორტის“ იურიდიული განყოფილების უფროსი - ეთერი შუბლაძე)

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ ელექტრონული აუქციონის ფორმით შპს „ბათუმის ავტოტრანსპორტი“-ს ბალანსზე რიცხულ ავტობუსებზე/ავტობუსებში რეკლამის განთავსებისათვის ვადიანი, სასყიდლიანი სარგებლობის უფლებით გადაცემით შპს „ბათუმის ავტოტრანსპორტი“-ს შემოსავლების ზრდა.

„იზოლაციისა და კარანტინის წესების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2020 წლის 23 მაისის N322 დადგენილებისა და მთავრობის უწყებათაშორისი საკოორდინაციო საბჭოს გადაწყვეტილების შესაბამისად, ბათუმის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე 2020 წლის 25 სექტემბრიდან 2020 წლის 19 ოქტომბრამდე, 2020 წლის 28 ნოემბრიდან 2021 წლის 01 თებერვლამდე, აგრეთვე 2021 წლის თებერვლიდან შაბათ-კვირას (სულ დამატებით 6 დღე) პერიოდით შეჩერდა საზოგადოებრივი ტრანსპორტის (მათ შორის ავტობუსების) ფუნქციონირება, რამაც გამოიწვია უფლების მიმღებისათვის მომსახურების გაუწევლობა.

მუნიციპალური ტრანსპორტის დროებით შეჩერების გამო უფლების მიმღებმა (შპს „ალმა“) ვერ მიიღო მომსახურება, რომლისთვისაც გადახდილი აქვს ელექტრონული აუქციონის შესაბამისად სრული თანხა. უფლების მიმღების მიმართვის საფუძველზე ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნულმა ბიურომ წარმოადგინა N5001262621 დასკვნა, რომ მომსახურების გაუწევლობის ზიანი შეადგენს 156461 ლარს და 55 თვიანი პერიოდით უნდა იქნეს გაგრძელებული საიჯარო უფლების მოქმედების ვადა, რათა დაკომპენსირდეს დროის ის მონაკვეთი, როცა უფლების გამცემი (შპს „ბათუმის ავტოტრანსპორტი“) ვერ უწევდა საიჯარო მომსახურებას უფლების მიმღებს.

უფლების მიმღები (შპს „ალმა“) მიუხედავად ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს დასკვნისა, თანახმაა ხელშეკრულების ვადა გაგძელდეს 18 თვის ვადით ან კომპანიისათვის დაბრუნებული იქნას წინმსწრებად გადახდილი საიჯარო ქირა გაუწეველი მომსახურების პერიოდისთვის, რაც შეადგენს 156461 ლარს. ხელშეკრულების ვადის გახანგრძლივებით პროექტი არ მოითხოვს დამატებით ფინანსურ ხარჯებს.

ა ზ რ ი

გ ა მ ო თ ქ ვ ე ს:

საკრებულოს წევრმა რაულ თავართქილაძემ განაცხადა, რომ ქვეყანაში ყველაზე დიდი პრობლემა-პანდემიაა. საკითხიც პანდემიიდან გამომდინარე ხელშეკრულების ვადის გაგძელების მოთხოვნაა, მან დასვა კითხვა ალბულის ნებართვიდან რა ვადა გავიდა და რამდენს ითხოვს თანხას?, რაზედაც მომხსენებელმა განმარტა, რომ 2020 წლის აგვისტოს თვეში დაიღო ხელშეკრულება აუქციონით გამოცხადებულ პრეტენდენტთან, საუქციონო წესით წინასწარ გადაიხადა მომსახურების მთლიანი ღირებულება და აქედან გამომდინარე ითხოვს სექტემბერში, ნოემბერში და თებერვლის თვეში შაბათ-კვირას მოცდენილი გაუწეველი მომსახურებისთვის ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს მიერ დადგენილი 55 თვიანი ვადის გაგრძელებას ან თანხობრივად 156461 ლარის ზიანის ანაზღაურებას. შეჯერდნენ 18 თვიანი

ხელშეკრულების გაზრდაზე.

საკრებულოს წევრმა არჩილ მამულაძემ განაცხადა, რომ რეკლამების განთავსებასთან საუბრისას განსაკუთრებით ყვითელი ფერის ავტობუსებში რეკლამა გაუსაძლის მდგომარეობაშია.

საკრებულოს წევრმა ნატალია ძიძიგურმა აღნიშნა, რომ კომპანიას სოციალური კუთხით აელო თავისთავზე პანდემიიდან გამომდინარე პასუხისმგებლობა, რაზედაც მომხსენებელმა განმარტა, რომ მათი პასუხისმგებლობა გამოიხატა იმაში, რომ რაც დაადგინა ზარალი ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიურომ, იმაზე გაცილებით ნაკლები ვადა მოითხოვა.

საკრებულოს წევრმა ზურაბ ნაკაიძემ აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით კომისიის სხდომაზე იმსჯელეს, მერიისათვის ნორმალური პირობაა და 18 თვით გაგრძელება სწორი გადაწყვეტილებაა.

საკრებულოს წევრი ნოდარ დუმბაძე ზურაბ ნაკაიძეს არ დაეთანხმა, იქედან გამომდინარე, რომ მომხსენებელმა აღნიშნა აუქციონი გამოცხადდა 2020 წლის აგვისტოში, შემდეგ ხელშეკრულება გაფორმდა, ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიურომ დაადგინა 55 თვე, დაახლოებით ხუთი წელი, პროექტიდან გამომდინარე რატომ უგრძელდება ხელშეკრულება, სადაც რამოდენიმე თვე მუნიციპალური ავტობუსები გაჩერებული იყო, რისთვისაც ვერ მიიღო შემოსავალი კომპანიამ.

ქალაქ ბათუმის მერის მოვალეობის შემსრულებელმა არჩილ ჩიქოვანმა განმარტა, რომ წინა წლის დეკემბრის ბოლომდე თანხა სრულად ჰქონდა ჩარიცხული, რითაც მან მიიღო რეკლამის განთავსების უფლება. ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიურომ დათვალა ფულის ღირებულება ფორმულით, 2020 წელს და 2021 წლის დასაწყისში მოცდენილი მისი 158 ათასი ლარიანი უფლებრივი ქონება რა ეღირებოდა. აქედან გამომდინარე იმსჯელეს კონკრეტულ წარმომადგენლებთან და მიაღწიეს შეთანხმებას.

სხდომის თავმჯდომარემ - სულიკო თებიძემ წარმოდგენილი საკითხი დააყენა კენჭისყრაზე:

კენჭისყრისას სხდომას ესწრებოდა:17

არ ესწრებოდა: 1(მ. ქამადაძე)

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 15

წინააღმდეგი - 2(ლ. ანთაძე, ნ. დუმბაძე)

და ა ა დ გ ი ნ ე ს : მიღებული იქნა წარმოდგენილი განკარგულების პროექტი.

მ ო ი ს მ ი ნ ე ს :

საკითხი 15. „ქალაქ ბათუმში (თამარის დასახლება) ი.გრიშაშვილის ქუჩიდან ც. დადიანის ქუჩამდე არსებული გზის მონაკვეთის ქუჩად ჩამოყალიბებისა და მასზედ კონსტიტუციის სახელის მინიჭების შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

(მომხს: ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განათლების, კულტურის, ტურიზმისა და სპორტის საკითხთა კომისიის თავმჯდომარე ირაკლი პატარიძე)

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ კონსტიტუცია სახელმწიფოს უზენაესი კანონია, რომელიც მნიშვნელოვან როლს თამაშობს საქართველოს კონსტიტუციონალიზმის ისტორიისა და საქართველოს სახელმწიფოებრიობის განვითარებაში.

2021 წლის 21 თებერვალს აღინიშნება მნიშვნელოვანი მოვლენა ჩვენი ქვეყნის ისტორიაში - საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის პირველი კონსტიტუციის მიღების 100 წლის იუბილე. აღსანიშნავია, რომ მეგობარი ქვეყნები მაღალ შეფასებას აძლევენ პირველი დამფუძნებელი კრების მიერ მიღებულ კონსტიტუციას, რომელიც წარმოადგენს ლიბერალური დემოკრატიის თვალსაჩინო და ადრეულ მაგალითს, რომელმაც საფუძველი ჩაუყარა წარმომადგენლობით სისტემას, სიტყვის თავისუფლებას, სასამართლო რეფორმას, ქალთა და მამაკაცთა თანასწორობას, ასევე ეთნიკური უმცირესობებისა და ქალების არჩევითობას.

სხდომის თავმჯდომარემ - სულიკო თებიძემ წარმოდგენილი საკითხი დააყენა კენჭისყრაზე:

კენჭისყრისას სხდომას ესწრებოდა:17

არ ესწრებოდა: 1(მ. ქამადაძე)

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 17

წინააღმდეგი - 0

და ა ა დ გ ი ნ ე ს : მიღებული იქნა წარმოდგენილი განკარგულების პროექტი.

მ ო ი ს მ ი ნ ე ს :

საკითხი 16. „ქალაქ ბათუმში ზურაბ გორგილაძის ქ. N12-ში არსებულ საცხოვრებელ სახლზე აკაკი შონიას მემორიალური დაფის განთავსების შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

(მომხს: ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განათლების, კულტურის, ტურიზმისა და სპორტის საკითხთა კომისიის თავმჯდომარე ირაკლი პატარიძე)

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ საქართველოს დამსახურებული ჟურნალისტი, ჟურნალ „ლიტერატურული აჭარას“, სახელის შეცვლის შემდეგ „ჭოროხის“ მთავარი რედაქტორი, ცნობილი ლიტერატორი და საზოგადო მოღვაწე, ბათუმის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს ყოფილი დეპუტატი - აკაკი გრიგოლის ძე შონია, წლების მანძილზე მუშაობდა საქართველოს მთავარი გაზეთების ლიტმუშაკად, კორესპონდენტად, აჭარის იმდროინდელი კულტურის სამინისტროს რადიო-ინფორმაციის განყოფილების პასუხისმგებელ რედაქტორად, ასევე, სახელმწიფო გამომცემლობის დირექტორად და რადიომაუწყებლობის კომიტეტის უფროს რედაქტორად.

დაჯილდოებული იყო საქართველოს და აჭარის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელებით.

მუშაობდა ლიტერატურული კრიტიკის დარგში.

გარდაიცვალა 1997 წლის 15 იანვარს.

სხდომის თავმჯდომარემ - სულიკო თებიძემ წარმოდგენილი საკითხი დააყენა კენჭისყრაზე:

კენჭისყრისას სხდომას ესწრებოდა: 17

არ ესწრებოდა: 1 (მ. ქამადაძე)

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 15

წინააღმდეგი - 2 (ლ. ანთაძე, ნ. დუმბაძე)

და ა ა დ გ ი ნ ე ს : მიღებული იქნა წარმოდგენილი განკარგულების პროექტი.

მ ო ი ს მ ი ნ ე ს :

საკითხი 17. „ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს პოლიტიკური თანამდებობის პირების და საკრებულოს აპარატის პროფესიული საჯარო მოხელეების თანამდებობრივი სარგოების და საშტატო ნუსხის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 18 იანვრის №7 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.

(მომხს: ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის იურიდიული განყოფილების უფროსი ირაკლი თავართქილაძე)

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ წარმოდგენილი ცვლილებების მიზანია საკრებულოს აპარატის საშტატო რიცხოვნობის ოპტიმიზაცია, კერძოდ განსახილველი დადგენილების პროექტი ითვალისწინებს ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის საშტატო ნუსხის 1 საშტატო ერთეულით შემცირებას, კერძოდ: უქმდება მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტის შტატი საორგანიზაციო საკითხებში.

აქვე აღსანიშნავია, რომ წარმოდგენილი დადგენილების პროექტის მიღების შედეგად არ მოხდება საკრებულოს აპარატიდან დასაქმებულის განთავისუფლება,

რადგან ზემოხსენებული საშტატო ერთეული (მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი (საორგანიზაციო საკითხებში) დღეის მდგომარეობით არის ვაკანტური.

სხდომის თავმჯდომარემ - სულიკო თებიძემ წარმოდგენილი საკითხი დააყენა კენჭისყრაზე:

კენჭისყრისას სხდომას ესწრებოდა:18

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 16

წინააღმდეგი - 1 (ლ. ანთაძე)

არ მიიღო მონაწილეობა -1(ნ. დუმბაძე)

და ა დ გ ი ნ ე ს : მიღებული იქნა წარმოდგენილი დადგენილების პროექტი.

მ ო ი ს მ ი ნ ე ს :

საკითხი 18. „ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოში შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა რაოდენობის შეზღუდვიდან გამონაკლისის დაშვების შეთანხმებისა და შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა რაოდენობის განსაზღვრის შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

(მომხს: ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის იურიდიული განყოფილების უფროსი ირაკლი თავართქილაძე)

მომხსენებელმა აღნიშნა, წარმოდგენილია „ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოში შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა რაოდენობის შეზღუდვიდან გამონაკლისის დაშვების შეთანხმებისა და შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა რაოდენობის განსაზღვრის შესახებ“ საკრებულოს განკარგულების პროექტი.

მოქმედი კანონმდებლობით განსაზღვრულია, რომ შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ საჯარო მოსამსახურეთა რიცხოვნობა არ უნდა აღემატებოდეს საჯარო დაწესებულების მთლიანი საშტატო რიცხოვნობის 5%-ს, თუმცა საფუძვლიანი გარემოების არსებობისას „საჯარო დაწესებულებაში შრომის ანაზღაურების შესახებ“ საქართველოს კანონის 29-ე მუხლის მე-4 პუნქტისა და „საქართველოს 2021 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონის 25-ე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად საჯარო დაწესებულების მუშაობის ხელშეწყობის მიზნით გამონაკლისის სახით შესაძლებელია მუნიციპალიტეტის შემთხვევაში საკრებულოსთან შეთანხმებით საჯარო დაწესებულებაში არამუდმივი ამოცანების შესასრულებლად კანონმდებლობით განსაზღვრული ზღვრული ოდენობის ზევით შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებული პირის მოწვევა.

ზემოთ აღნიშნულის გათვალისწინებით წარმოდგენილი განკარგულების პროექტი ითვალისწინებს ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოში შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა რაოდენობის შეზღუდვიდან გამონაკლისის დაშვებას და ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოში შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა მაქსიმალური რაოდენობის განსაზღვრას არაუმეტეს

20 ერთეულით ნაცვლად 19 ერთეულისა, რაც იძლევა სამართლებრივ შესაძლებლობას საჭიროების შემთხვევაში მოქმედი საკრებულოს უფლებამოსილების ვადით შრომითი ხელშეკრულების საფუძველზე საჭიროების გათვალისწინებით საკრებულოს თავმჯდომარის გადაწყვეტილებით აყვანილ იქნას დამხმარე სპეციალისტი, რომელიც პრაქტიკულად შეასრულებს საკრებულოს აპარატში შრომითი ხელშეკრულებით დამხმარე საორგანიზაციო ფუნქცია მოვალეობებს ან/და შესაძლებელი იქნება აღნიშნული შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებული პირის გამოყენება სხვა მიმართულებით

სხდომის თავმჯდომარემ - სულიკო თებიძემ წარმოდგენილი საკითხი დააყენა კენჭისყრაზე:

კენჭისყრისას სხდომას ესწრებოდა:18

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 16

წინააღმდეგი - 1 (ლ. ანთაძე)

არ მიიღო მონაწილეობა -1(ნ. დუმბაძე)

და ა ა დ გ ი ნ ე ს : მიღებული იქნა წარმოდგენილი განკარგულების პროექტი.

მ ო ი ს მ ი ნ ე ს :

საკითხი 19. „ქალაქ ბათუმის მუნიციპალური გენდერული თანასწორობის საბჭოს შექმნისა და დებულების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 27 დეკემბრის №77 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.

(მომხს: ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე, მუნიციპალური გენდერული თანასწორობის საბჭოს თავმჯდომარე - ნატალია ზოიძე)

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ მუნიციპალური გენდერული თანასწორობის საბჭოს დებულების საქართველოს კანონმდებლობის მოთხოვნებთან სრულ შესაბამისობაში მოყვანის მიზნით საბჭოს სტრუქტურისა და შექმნის წესის, სხდომების რეგლამენტირების, აგრეთვე საბჭოს მდივნის ფუნქციების დაზუსტება. აღნიშნულს უკავშირდება წარმოდგენილი ნორმატიული აქტის პროექტი.

სხდომის თავმჯდომარემ - სულიკო თებიძემ წარმოდგენილი საკითხი დააყენა კენჭისყრაზე:

კენჭისყრისას სხდომას ესწრებოდა:18

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 18

წინააღმდეგი - 0

და ა დ გ ი ნ ე ს : მიღებული იქნა წარმოდგენილი დადგენილების პროექტი.

მ ო ი ს მ ი ნ ე ს :

საკითხი 20. „ქალაქ ბათუმის მუნიციპალური გენდერული თანასწორობის საბჭოს შემადგენლობის განსაზღვრის შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 5 მარტის N20 განკარგულებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

(მომხს: ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე, მუნიციპალური გენდერული თანასწორობის საბჭოს თავმჯდომარე - ნატალია ზოიძე)

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ წარმოდგენილი პროექტი ქალაქ ბათუმის მუნიციპალური გენდერული თანასწორობის საბჭოს შემადგენლობის განსაზღვრის შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 5 მარტის N20 განკარგულებაში ცვლილების შეტანა ითვალისწინებს საბჭოს შემადგენლობის განახლებას. კერძოდ, ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერის სათათბირო ორგანოს - სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს - შეეცვალა თავმჯდომარე, კახაბერ გუჩმანიძე ჩაანაცვლა თამარ გუდავამ. შესაბამისად, მუნიციპალურ გენდერულ თანასწორობის საბჭოში სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს წარმომადგენელი იქნება თამარ გუდავა, რომელიც ასევე „ბათუმის ქალთა კლუბს“ წარმოადგენდა, ხოლო შსს-ს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის აჭარის მთავარი სამმართველოს საორგანიზაციო სამმართველოს ინსპექტორი, პოლიციის კაპიტანი ირმა აბულაძე დაემატა ახალ წევრად.

სხდომის თავმჯდომარემ - სულიკო თებიძემ წარმოდგენილი საკითხი დააყენა კენჭისყრაზე:

კენჭისყრისას სხდომას ესწრებოდა:18

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 18

წინააღმდეგი - 0

და ა დ გ ი ნ ე ს : მიღებული იქნა წარმოდგენილი განკარგულების პროექტი.

მ ო ი ს მ ი ნ ე ს :

საკითხი 21. „ქალაქ ბათუმის მუნიციპალური გენდერული თანასწორობის საბჭოს 2021-2022 წლების სამოქმედო გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

(მომხს: ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე, მუნიციპალური გენდერული თანასწორობის საბჭოს თავმჯდომარე - ნატალია ზოიძე)

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ განკარგულების პროექტით წარმოდგენილი მუნიციპალური გენდერული თანასწორობის საბჭოს სამოქმედო გეგმა უკავშირდება გენდერული თანასწორობის პოლიტიკის განხორციელებას.

სხდომის თავმჯდომარემ - სულიკო თებიძემ წარმოდგენილი საკითხი დააყენა კენჭისყრაზე:

კენჭისყრისას სხდომას ესწრებოდა:18

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 18

წინააღმდეგი - 0

და ა ა დ გ ი ნ ე ს : მიღებული იქნა წარმოდგენილი განკარგულების პროექტი.

სხდომის თავმჯდომარემ - სულიკო თებიძემ საკრებულოს მორიგი სხდომა დახურულად გამოაცხადა.

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე

სულიკო თებიძე

ოქმის სისწორეს
ვადასტურებ:

რ. ბოლქვაძე — საკრებულოს აპარატის უფროსი

ვიზირებულია:

ი.თავართქილაძე — საკრებულოს აპარატის იურიდიული
განყოფილების უფროსი

მ. თურმანიძე — საკრებულოს აპარატის საქმისწარმოებისა
და ადამიანური რესურსების მართვის
განყოფილების უფროსი

ოქმი შეადგინა:

მ. წულუკიძე — საკრებულოს აპარატის საქმისწარმოებისა
და ადამიანური რესურსების მართვის
განყოფილების უფროსი სპეციალისტი,
სხდომის მდივანი